



**საქართველო**  
**ხონის მუნიციპალიტეტის საკრებულო**  
**ბ ა ნ კ ა რ ბ უ ლ ე ბ ა** N 40 29

25/04/2018

**ხონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 25 აპრილის მორიგი სხდომის დღისწესრიგის  
დამტკიცების შესახებ**

დამტკიცდეს ხონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 25 აპრილის მორიგი სხდომის შემდეგი დღის  
წესრიგი:

1. ხონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კულტურის, განათლებისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის  
შემადგენლობის დამტკიცების შესახებ.

**მომხსენებელი: ნანა ბახტაძე - კულტურის, განათლებისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარე.**

2. ხონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის შემადგენლობის  
დამტკიცების შესახებ.

**მომხსენებელი: ჯუნგლი გოდერიძე - ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე**

3. სსიპ - თვითმმართველი თემი ხონის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების  
სარგებლობის უფლებით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით სსიპ - საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა  
და გადაუდებელი დახმარების ცენტრის დირექციისათვის გადაცემაზე სსიპ- თვითმმართველი თემი ხონის  
მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ.

**მომხსენებელი: ირაკლი ჟორჯოლიანი - მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსი**

4. ხონის მუნიციპალიტეტის საპატიო მოქალაქის მინიჭების საკითხთა კომისიის შემადგენლობის დამტკიცების  
შესახებ.

**მომხსენებელი: ალიკო ვეკუა - იურიდიულ, სამანდატო, საპროცედურო და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე.**

5. „ხონის საპატიო მოქალაქის წოდების მინიჭების წესის შესახებ“ დებულების დამტკიცების თაობაზე ხონის  
მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 24 აპრილის #14 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ.

**მომხსენებელი: ალიკო ვეკუა - იურიდიულ, სამანდატო, საპროცედურო და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე.**

**ვალერი ბახტაძე**

საკრებულოს თავმჯდომარე